



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №130



2013 წლის 23 აგვისტო
ქალაქი ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისა და აღსაზრდელების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #241 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 46¹ მუხლის საფუძველზე:

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისა და აღსაზრდელების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #241 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) პროგრამის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“

ბ) პროგრამის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროგრამის მიზანი

-პროგრამის მიზანია დევნილისა და სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსწავლეებისათვის მუსიკალური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა - მათთვის დაწესებული გადასახდელების ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფარვის გზით.

3. პროგრამით მოცული კონტიგენტი

-პროგრამა ვრცელდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სახელოვნებო სკოლების მოსწავლეებზე, რომლების არიან:

ა) დევნილის/იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონენი;

ბ) ოჯახებიდან, რომელთა რეიტინგი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 ქულას არ აღემატება.

-პროგრამის ბენეფიციართა სავარაუდო კონტიგენტია 160 მოსწავლე.

4. პროგრამის განხორციელების მექანიზმი

-მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების დირექციები:

ა) საბიუჯეტო წლის დაწყებამდე მუნიციპალიტეტის გამგეობას წარუდგენენ ამ პროგრამის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მქონე მოსწავლეების პერსონალურ სიებს - სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების (პირადობის მოწმობის, დევნილის მოწმობის ასლები, ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების ბაზიდან) თანდართვით;

ბ) გამგეობისათვის წარდგენილ ყოველთვიურ და კვარტალურ მოთხოვნაში აფიქსირებენ მონაცემებს შეღავათის მქონე კონტიგენტში მომხდარი ცვლილებების შესახებ.

-გამგეობა მოთხოვნის მიხედვით ანაღლებს პროგრამის შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულებას - თვეში თვითოეულ მოსწავლეზე 12 (თორმეტი) ლარის ოდენობით; საჭიროების შემთხვევაში მზადდება წინადადებები პროგრამით გათვალისწინებული ასიგნიბის კორიტირების მიზნით.

5. პროგრამის დაფინანსების წყარო და სავარაუდო მოცულობა

- პროგრამა ფინანსდება ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან და მისი სავარაუდო მოცულობა 38 490 ლარს შეადგენს.“

2. განკარგულებით დამტკიცებული პროგრამის მე-3 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2013 წლის პირველი სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

3. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

4. განკარგულება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულება შიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ერთი თვის ვადაში ხაშურის რაიონულ სასამართლოში(ქ. ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. #15).

საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

